საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის
ბრძანება N01-11/52

ქ. ბათუმი 02 ივლისი, 2013 წ

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიაში სტაჟიორთა მისაღები კონკურსის განმეორებით გამოცხადების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23–ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 29 მარტის №2 გადაწყვეტილების და კანცელარიის უფროსის, მერაბ ბერიძის 2013 წლის 21 ივნისის N2762 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიაში სტაჟირების გავლის მიზნით კანდიდატთა შესარჩევად განმეორებით გამოცხადდეს კონკურსი.
2. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ბსუ-ს სოციალური და ჰუმანიტარული მიმართულების ბაკალავრიატის მე–3–4 სასწავლო წლის/მაგისტრატურის სტუდენტთა მიერ **2013 წლის 03 ივლისიდან 09 ივლისის ჩათვლით პერიოდში** ბსუ-ს კანცელარიაში წარმოდგენილი უნდა იქნეს:
   ა) წერილობითი განცხადება სტაჟირების გავლის შესახებ **(დანართი 1);**
   ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
   გ) ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ ნიშნების ფურცელთან ერთად;
   დ) ერთი ფოტოსურათი (3X4);
   ე) ცნობა სოციალურად დაუცველობის შესახებ (არსებობის შემთხვევაში);

3. სტაჟიორთა შერჩევისას, საკონკურსო კომისიის მიერ გათვალისწინებული იქნება: კანდიდატის აკადემიურ მოსწრება; მოტივაცია; „საქმისწარმოების ერთიანი წესების" დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების, საქართველოს კანონების: ,,საჯარო სამრთლის იურიდიული პირის შესახებ", ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის", ,,უმაღლესი განათლების შესახებ" და „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ" ცოდნა; საოფისე კომპიუტერული პროგრამების კარგად ფლობა. თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭებათ სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრებს.

4. 2013 წლის 10 ივლისს, კონკურსის წესით, გასაუბრების საფუძველზე შეირჩევა 2 სტაჟიორი (თითო სტაჟიორი, დილისა და საღამოს ცვლებში სამუშაოდ). შერჩეული კანდიდატები 2 თვის განმავლობაში კანცელარიის თანამშრომელთა დახმარებით ან/და კოორდინირებით გაეცნობიან და უშუალოდ მიიღებენ მონაწილეობას კანცელარიის საქმიანობაში: მიიღებენ განცხადებებს, მოხსენებით ბარათებს, სხვადასხვა უწყებებიდან/დაწესებულებებიდან შემოსულ წერილებს და დაარეგისტრირებენ შესაბამის სარეგისტრაციო წიგნში. ასევე მონაწილეობას მიიღებენ მათ დახარისხებაში და შესაბამის სამსახურებზე გადაცემაში. სტაჟირების პროგრამის გავლის შემდეგ, სტაჟიორთა ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე სტაჟიორი დასაქმდება არაუმეტეს 3 თვიანი კონტრაქტით. სამუშაო საათები განისაზღვრება შემდეგი განრიგით:

   ორშაბათი - პარასკევი

   პირველი ცვლა

   9^{00} სთ - 13^{00} სთ

   მეორე ცვლა:

   14^{00} სთ - 18^{00} სთ

5. კონტრაქტის დასრულების შემდეგ გაიცემა სათანადო სერტიფიკატები.
6. კონტრაქტით დასაქმების შემთხვევაში ყოველთვიური ანაზღაურება განისაზღვრება 200 ლარით;
7. განცხადება სტაჟიორთა კონკურსის გამოცხადების შესახებ გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **ედიშერ ჩავლეიშვილი**

დანართი 1.

განაცხადი სტაჟირებაზე

1. გვარი, სახელი ----------
2. დაბადების ადგილი, თარიღი ----------
3. მოქალაქეობა ----------
4. პირადობის მოწმობის ნომერი ----------
5. ოჯახური მდგომარეობა ----------
6. საცხოვრებელი ადგილის მისამართი, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა, ფაქსი:

---

7. ბსუ-ს რომელ ფაკულტეტზე, სპეციალობაზე სწავლობთ

ჩარიცხ.წელი	მიმდ. სემესტრი	სპეცილობა	ფაკულტეტი

8.. რომელ უცხო ენებს ფლობთ, ცოდნის დონე:

შეაფასეთ ენის ცოდნის დონე შემდეგი ტერმინებით: სუსტად, საშუალოდ, კარგად, სრულყოფილად.

ენა	კითხვა	მეტყველება	წერა

10. კომპიუტერული პროგრამების ცოდნა:

---

11. რატომ აირჩიეთ აღნიშნული სპეციალობა, მოკლედ ჩამოაყალიბეთ თქვენი პროფესიონალური გეგმები და მიზნები.

---

12. მიუთითეთ, თუ რომელ ცვლაში გსურთ სტაჟირების გავლა ----------

13. თქვენი ინტერესთა სფეროები ----------

14. რა სახის გრანტები და სტიპენდიები გაქვთ მოპოვებული:

როდის	ორგანიზაცია - დაწესებულება	თანხის ოდენობა

15. შრომითი საქმიანობა

როდიდან-როდემდე	უწყება, ორგანიზაცია,	თანამდებობა,	მისამართი უწყების/ ორგანიზაციის სადაც, მუშაობდით

16. ხართ თუ არა საზღვარგარეთ ნამყოფი კვალიფიკაციის ამაღლების ან სხვა პროფესიული მიზნით: სად, როდის?

---

17. გთხოვთ ცალკე ფურცელზე დეტალურად დაასაბუთოთ თუ რას ელით სტაჟირებისაგან. დაიცავით ქვემოთ მოცემული ინსტრუქციები შინაარსის შესახებ.

შინაარსი

- თქვენი პროფესიული მიზნები;
- რა როლს ითამაშებს სტაჟირება აღნიშნული მიზნების მისაღწევად?
- რატომ აირჩიეთ თქვენ მიერ ზემოთ მითითებული სტრუქტურული ერთეული სტაჟირებისათვის?
- როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი წვლილი აღნიშნული სტრუქტურული ერთეულის საქმიანობაში?

---

18. შენიშვნები

შევსების თარიღი ----------

პირადი ხელმოწერა ----------